IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტების მნიშვნელობა საქართველოსთვის და საერთაშორისო ტენდენციები

თბილისი 2023



ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, საერთაშორისო მედიის მხარდაჭერის (IMS - International Media Support) ფინანსური დახმარებით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი IDFI. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.

4
შესავალი

7
ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა საქართველოში

12
ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის სტანდარტები

18
ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა

21
გამოხმაურება

25
სასამართლო გადაწყვეტილების შედეგები ევროპის ქვეყნებში

29
დასკვნა

შესავალი

ბენეფიციარი (საბოლოო) მესაკუთრეების გამჭვირვალობა კორუფციის პრევენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს. ბოლო წლებში ჟურნალისტებისა და სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფების მიერ ამ კუთხით გაუმჭვირვალე პრაქტიკის სააშკარაოზე გამოტანის შემთხვევებმა ამ საკითხებს მეტი აქტუალობა შესძინა. ამავდროულად, ნათელი გახდა, რომ გადასახადებისგან თავის არიდება და რეალური მესაკუთრეობის დამალვა წარმოადგენს არა მხოლოდ ცალკე მდგომ ფინანსურ დანაშაულს, არამედ ის მიუთითებს კორუფციისა და ფულის გათეთრების მრავალშრიანი ჯაჭვის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მთელ საზოგადოებას.

ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) განმარტების თანახმად,[1] ბენეფიციარი მესაკუთრე არის ფიზიკური პირი, რომელიც წარმოადგენს სუბიექტის საბოლოო მფლობელს, ან მაკონტროლებელი პირი, რომლის სახელითაც ხორციელდება გარიგება (ოპერაცია). გარდა ამისა, ბენეფიციარ მესაკუთრეთა ცნება შესაძლოა ვრცელდებოდეს იმ პირებზეც, რომლებიც სამეწარმეო იურიდიული პირის მართვის კონტროლს ახორციელებენ.

ბენეფიციარ მესაკუთრეთა იდენტიფიცირების მიზნით, ქვეყნები სხვადასხვა მიდგომებს იყენებენ. მესაკუთრეები მათ მიერ წილის კონკრეტული პროცენტის ფლობის, ხმის მიცემის უფლებისა და საკუთრების ფლობის მიხედვით განისაზღვრებიან. მაგალითისთვის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ევროკავშირის მეოთხე დირექტივის (AMLD), ერთიანი ანგარიშგების სისტემისა (CRS) და ინფორმაციის ავტომატური გაცვლის (AEOI) თანახმად, ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს კომპანიის 25%-იან (ან 25%-ზე მეტ) წილს ჩაითვლება ბენეფიციარ მესაკუთრედ.[2] ამავე დირექტივის (AMLD4) 2015 წელს შესული ცვლილებებით,[3] ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ბენეფიციარ მესაკუთ-რეთა რეესტრის შექმნის ვალდებულება განესაზღვრათ.

2018 წელს დამტკიცდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ევროკავშირის მეხუთე დირექტივა (AMLD5),[4] რომელიც წევრ სახელმწიფოებს დამატებით ავალდებულებს არსებული რეესტრების გასაჯაროებას და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ[5] არამართლზომიერად სცნო ბენეფიციარ მესაკუთრეებზე ინფორმაციის უკონტროლო საჯარო ხელმისაწვდომობა და მიზეზად ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 7-ე (პირადი და

[4] "ფულის გათეთრების წინააღმდეგ ევროკავშირის მეოთხე დირექტივა (AMLD5)", მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://bit.ly/3oROoVn

[5] "ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2022 წლის 22 ნოემბრის პრეს რილიზი", მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://bit.ly/3NlNEkQ

ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და 8-ე (პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება) მუხლებთან შეუსაბამობა დაასახელა. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, აღნიშნული პრაქტიკა ეწინააღმდეგება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და სცდება ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის მიზნის ფარგლებს. ამავდროულად, საყურადღებოა სასამართლოს დასკვნის 74-ე პუნქტში მოცემული დებულება, რომლის თანახმადაც "პრესას, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თავისთავად აქვთ ბენეფიციარ მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის **ლეგიტიმური ინტერესი**".

ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა საქართველოში

საქართველოსთვის, როგორც გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნისთვის, ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა განსაკუთრებით აქტუალური საკითხია. ამ თვალსაზრისით ქვეყნის ძირითადი ნორმატიული აქტია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზეც ანგარიშვალდებულ პირებს[6] და საზედამხედველო ორგანოებს საშუალება აქვთ იცოდნენ თუ ვინ დგას კონკრეტული სამეწარმეო სუბიექტის უკან.

საქართველო არის ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წევრი სახელმწიფო. OGP-ის წევრ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, შექმნილია სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო[7]. IDFI-იმ და საბჭოს წევრმა სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებმა რამდენჯერმე მიმართეს საქართველოს მთავრობას და მის ადმინისტრაციას ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნასთან (ასევე, EITI-ში გაწევრიანებასთან) დაკავშირებით, თუმცა საქართველოს მთავრობა მზაობას არ გამოხატავს აღნიშნული ვალდებულების აღებასა და განხორციელებაზე.

საქართველოში ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული საკმაოდ ბევრი კომპანია ოპერირებს[8], ასევე მათ მიერ დაფუძნებული ფილიალები და შვილობილი კომპანიები. აღნიშნული ზრდის საეჭვო გარიგებების დადების ალბათობას, რაც შეიძლება ხორციელდებოდეს კორუფციის ან სხვა უკანონო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ფინანსური რესურსის გამოყენებით და მიზნად ისახავდეს ფულის გათეთრებას და ტერორიზმის ხელშეწყობას.

აღნიშნული საკითხი მიმოხილულია IDFI-ის 2021 წლის კვლევაში, რომელიც ეხება ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობას საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში. კვლევის ფარგლებში სსიპ ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ 2018-2020 წლებში, საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის კანონმდებლობის თანახმად გათვალისწინებული ზღვარს ზემოთ დადებული 65,000-ზე მეტი გარიგება, და 31 საეჭვო გარიგება. გარიგებების ორივე დასახელებულ რაოდენობაში ფიგურირებდნენ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული იურიდიული პირები

[6] “ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონი”, მუხლი 3, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://bit.ly/3WUnYyR

[7] “საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო”, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://idfi.ge/ge/the_open_governance_inter_agency_coordination_council

[8] “ოფშორები და საქართველო”, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://bit.ly/45OcSQ1

ან/და მათი ქართული ფილიალები ან/და ისეთი კომპანიები, სადაც დასახელებული იურიდიული პირები ფლობენ 25% ან მეტ პროცენტს.

ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა, მას შემდეგ რაც უკრაინის წინაღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებულ სამხედრო აგრესიას მრავალმა ქვეყანამ ეკონომიკური და ფინანსური სანქციები დაუპირისპირა. 2022 წლის მარტიდან სექტემბრამდე პერიოდში, საქართველოში 9,500-მდე რუსული კომპანია დარეგისტრირდა, რაც 10-ჯერ აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს.[9] აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო ნათელს ხდის მკვეთრი რეაგირების აუცილებლობას. სანქციების პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულებისთვის მაქსიმალური გამჭვირვალობაა საჭირო, რათა გამოაშკარავდეს დამალული ფინანსები და იურიდიულმა პირებმა ბოროტად ვერ მოახერხონ სანქციებისგან თავის არიდება.[10]

დღეის მდგომარეობით, საქართველოში ბენეფიციარ მესაკუთრეთა ერთიანი რეესტრის არარსებობის პირობებში ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია ონლაინ ხელმისაწვდომია მხოლოდ კომერციული ბანკების საქმიანობის, მაუწყებლობის სფეროს[11] და ცალკეული მსხვილი კომპანიების[12] შესახებ.

ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის (MONEYVAL) მიერ 2020 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ანგარიშის[13] თანახმად, რომლითაც ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ 2012 წელს გაცემულ რეკომენდაციებთან საქართველოს შესაბამისობა შეფასდა, ქვეყანას 40 რეკომენდაციიდან სრულად შესრულებული აქვს ექვსი რეკომენდაცია, მეტწილად შესრულებული - 21, ნაწილობრივ - 12, ხოლო შეუსრულებელია ერთი რეკომენდაცია. 2022 წელს ასევე გამოქვეყნდა 4 კონკრეტული რეკომენდაციის (22-ე, 28-ე, 29-ე და35-ე) მიმართულებით განხორციელებული პროგრესის საკონტროლო ანგარიში[14] და შედეგად 29-ე რეკომენდაცია შეფასდა როგორც მეტწილად შესრულებული.

---

[9] "საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე: რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა", საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://bit.ly/3Cinqt9

[10] "The impact of Western sanctions on Russia and how they can be made even more effective", The Atlantic Council, Anders Åslund, Maria Snegovaya, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://bit.ly/3oT8gay

[11] კომუნიკაციების კომისიის იურიდიული პირების რეესტრი, მოპოვებულია 20 მაისი 2023, http://registry.comcom.ge/

[12] ანგარიშგების პორტალი,მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://reportal.ge/

[13] "Committee of Experts on the Evaluation of anti-money laundering measures and the financing of terrorism", MONEYVAL, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://rm.coe.int/annual-report-2020-eng-final/1680a429f5

[14] "Anti-money laundering and counter-terrorist financing measures-Georgia", MONEYVAL, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://rm.coe.int/annual-report-2020-eng-final/1680a429f5

გამჭვირვალობა და ბენეფიციარი მესაკუთრეების საკითხს 24-ე რეკომენდაცია ეხება და მასთან მიმართებით MONEYVAL-მა საქართველოში რამდენიმე ხარვეზი გამოავლინა. კერძოდ, ანგარიშის თანახმად, საქართველოში იურიდიულ პირებთან მიმართებით არსებული რისკები სრულყოფილად არ გაანალიზებულა. ამავდროულად, ანგარიშმა მიუთითა, რომ ბენეფიციარი საკუთრების შესახებ არსებული ინფორმაციის მიღების მექანიზმები ზუსტი და განახლებული ინფორმაციის დროულად მიღების შესაძლებლობას ვერ უზრუნველყოფს. ეს მექანიზმები ასევე ვერ უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირის განსაზღვრას, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ბენეფიციარი მესაკუთრეობის შესახებ ინფორმაციის შენახვაზე ან ანგარიშვალდებული იქნებოდა ხელისუფლების წინაშე. ასევე, ხაზი გაესვა, რომ არ არსებობს მექანიზმი, რომელიც შპს-ებში ნომინალური წილის მფლობელობის ბოროტად გამოყენებას აღკვეთავდა.

24-ე რეკომენდაცია ქვეყნებისგან მოითხოვს ჰქონდეთ მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს და აღწერს ქვეყანაში იურიდიული პირების სხვადასხვა ტიპებს, ფორმებსა და ძირითად მახასიათებლებს, ასევე ამ იურიდიული პირების შექმნისა და ძირითადი და ბენეფიციარი მესაკუთრეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და აღრიცხვის პროცედურებს. ეს ინფორმაცია საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ამავდროულად, ქვეყნებმა უნდა შეაფასონ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები, რომლებიც ქვეყანაში არსებულ ყველა ტიპის იურიდიული პირიდან შეიძლება მომდინარეობდეს.

Moneyval-ის ანგარიშმა ბენეფიციარ მესაკუთრეების გამჭვირვალობასთან მიმართებით საქართველოსთვის გასცა რეკომენდაცია, რომ შეისწავლოს არსებული სისტემები და მიიღოს ზომები, რათა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ სათანადო, ზუსტი და განახლებული ინფორმაცია ყოველთვის დროულად ხელმისაწვდომი იყოს კომპეტენტური ორგანოებისთვის. **ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ეფექტიან ზომად შეფასების გუნდმა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ცენტრალიზებული და სისტემატიზებული მონაცემთა ბაზის შექმნა მიიჩნია.**

MONEYVAL-ის და FATF-ის რეკომენდაციების გათვალისწინებისკენ, მათ შორის ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისკენ, საქართველოს მთავრობას ვენეციის კომისიამაც მოუწოდა. დეოლიგარქიზაციის კანონის განხილვის დასკვნაში* იკითხება რომ ძალაუფლების ერთი პირის ხელში კონცენტრაციასთან საბრძოლველად ქვეყნების უმრავლესობაში შემუშავებულია და მოქმედებს ურთიერთშეკავშირებული საკანონმდებლო, ადმი-

* FINAL OPINION ON THE DRAFT LAW ON "DE-OLIGARCHISATION", Adopted by the Venice Commission at its 135th Plenary Session (Venice, 9-10 June 2023), მოპოვებულია 14 ივნისი 2023, https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)017-e

ნისტრაციული, ეკონომიკური და სხვა ზომები. ამგვარ ზომებს შორისაა კონკურენციის სფეროში ეფექტიანი პოლიტიკა, ბრძოლა კორუფციასთან და ფულის გათეთრებასთან, მედიის პლურალიზმის უზრუნველყოფა, პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დადგენა და ა.შ.

ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის უმჯობესი იქნება მისი საჯარო რეესტრის სისტემაში გაერთიანება, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ინფორმაცია სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების შესახებ, მათ შორის იურიდიული პირების პარტნიორების შესახებ. მაქსიმალური ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია მონაცემები ხელმისაწვდომი იყოს ღია ფორმატში, საერთაშორისოდ დამკვიდრებული სტანდარტების შესაბამისად, რათა რეესტრი იყოს ურთიერთთავსებადი სხვა რეესტრებთან, ასევე სხვა ქვეყნების ანალოგიურ რეესტრებთან, და ჟურნალისტებსა და სამოქალაქო საზოგადოებას ჰქონდეთ მონიტორინგის წარმოების საშუალება.

ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის სტანდარტები

ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ მონაცემების შეგროვების და დამუშავების ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და აპრობირებულ სტანდარტებს ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები წარმოადგენს.[15] FATF არის 39 წევრი ქვეყნისგან შემდგარი მთავრობათაშორისი ორგანო, რომელიც ადგენს საერთაშორისო სტანდარტებს ფულის გათეთრების, ნარკოტიკებით ვაჭრობის, იარაღით უკანონო ვაჭრობის, კიბერ თაღლითობის, ტერორიზმის დაფინანსების და სხვა მძიმე დანაშაულების პრევენციის მიზნით. ამჟამად 200-ზე მეტ ქვეყანას და იურისდიქციას აქვს აღებული FATF-ის სხვადასხვა სტანდარტების დანერგვის ვალდებულება.

კონკრეტულად ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობას ეხება FATF-ის 24-ე რეკომენდაცია, თუმცა აღსანიშნავია რომ მოცემული სტანდარტები ზოგად ხასიათს ატარებს. ამ მხრივ უფრო დეტალურ ჩაშლას გვთავაზობს Open Ownership-ის[16] (OO) ბენეფიციარი საკუთრების მონაცემთა სტანდარტი (BODS)[17], რომელიც განსაზღვრავს მონაცემების ერთიან ფორმატს და უზრუნველყოფს ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, მიმოცვლის და გამოქვეყნების თანმიმდევრულ მეთოდს. მოცემულ ცხრილზე ასახული ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ მონაცემების ძირითადი კატეგორიების, ქვეკატეგორიების, და კომპონენტების არასრული ნუსხა BODS სტანდარტის შესაბამისად, სრულყოფილი ტექნიკური გზამკვლევი ხელმისაწვდომია თავად Open Ownership-ის შესაბამის ვებგვერდზე[18].

ჩანაწერის ძირითადი კატეგორია	ქვეკატეგორია	კომპონენტები
მეტამონაცემები	ჩანაწერის ავტორი	▶ სახელი ▶ უნიკალური იდენტიფიკატორი
	ანოტაცია	▶ შექმნის თარიღი ▶ ანოტაციის ავტორი ▶ ანოტაციის მიზანი (ახალი ჩანაწერი, კორექცია, და სხვა)
	ქვეყანა	▶ ქვეყნის დასახელება ▶ ქვეყნის კოდი (ISO 3166-1)

[15] "ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები", მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://www.fatf-gafi.org/en/publications/Fatfrecommendations/Fatf-recommendations.html

[16] Open Ownership, https://www.openownership.org/en/

[17] ბენეფიციარი საკუთრების მონაცემთა სტანდარტი (BODS), Open Ownership, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://standard.openownership.org/en/0.3.0/index.html

[18] "Beneficial Ownership Data Standard (v0.3)" ტექნიკური გზამკვლევი, Open Ownership, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://standard.openownership.org/en/0.3.0/

ჩანაწერის ძირითადი კატეგორია	ქვეკატეგორია	კომპონენტები
ბენეფიციარი მესაკუთრე სუბიექტი	იურიდიული პირი/ ფიზიკური პირი	▶ სახელი ▶ სახელის ტრანსლიტერაცია ▶ ალტერნატიული სახელი ▶ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი
	მისამართი	▶ დაბადების ადგილი ▶ საცხოვრებელი ადგილი ▶ რეგისტრაციის ადგილი ▶ იურიდიული მისამართი ▶ საფოსტო ინდექსი ▶ ქვეყნის კოდი (ISO 3166-1)
ბენეფიციარი საკუთრების ობიექტი	ობიექტის იდენტიფიკატორი	
	დასახელება	▶ სახელი ▶ სახელის ტრანსლიტერაცია ▶ ალტერნატიული სახელი ▶ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი
	ალტერნატიული დასახელება	
	იურისდიქცია	▶ იურისდიქციის დასახელება ▶ ქვეყნის კოდი (ISO 3166-1)
	დაარსების თარიღი	
	დაშლის/ლიკვიდაციის/ გაუქმების თარიღი	
	მისამართი	▶ რეგისტრაციის ადგილი ▶ იურიდიული მისამართი ▶ საფოსტო ინდექსი ▶ ქვეყნის კოდი (ISO 3166-1)
	ჩანაწერის განახლების ისტორია	
	ობიექტის ტიპი	
	უცნობი ან ანონიმური ობიექტის შემთხვევაში მიზეზის აღწერა	
	აქციების საჯარო შეთავაზება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	▶ კომპანიის საჯარო დოკუმენტების URL მისამართი ▶ აქციების “ლისთინგი”
	აქციების “ლისთინგი”	▶ საბაზრო საიდენტიფიკაციო კოდი (MIC) ▶ საფონდო ბირჟის დასახელება ▶ ძირითადი საფონდო ბირჟის საიდენტიფიკაციო კოდი (ISO 3166-1) ▶ აქციების საიდენტიფიკაციო კოდი (isin, figi, cusip, cins)
	დაუზუსტებელი ტიპის ობიექტის შემთხვევაში მიზეზის აღწერა	
	ინფორმაციის წყარო	▶ თვით დეკლარაცია ▶ ოფიციალური რეესტრი ▶ URL მისამართი ▶ მონაცემების იმპორტირების თარიღი

ჩანაწერის ძირითადი კატეგორია	ქვეკატეგორია	კომპონენტები
ბენეფიციარი საკუთრების ფაქტის ამსახველი ჩანაწერი	ბენეფიციარი საკუთრების ფორმა	▶ მეწილე ▶ ხმის უფლება ▶ ბორდის წევრის დანიშნვის უფლება ▶ აღმასრულებელი პოზიცია ▶ მოგების ან შემოსავლის მიღების უფლება ▶ ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული უფლება ▶ ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული პირობითი უფლება ▶ იურიდიული პირის შიდაგანაწესის საფუძველზე წარმოშობილი უფლება ▶ კანონის საფუძველზე წარმოშობილი მართვის უფლება ▶ ბორდის წევრობა ▶ ბორდის თავმჯდომარეობა ▶ გავლენის სხვა ფორმა ▶ უცნობი ფორმა ▶ იურიდიული პირის საკუთრებით სარგებლობის უფლება
	პირდაპირი თუ არა პირდაპირი მესაკუთრე	
	საკუთრება თუ გავლენა	
	საკუთრების პროცენტული მაჩვენებელი	
	თარიღი	▶ ბენეფიციარი საკუთრების წარმოშობის თარიღი ▶ ბენეფიციარი საკუთრების დასრულების თარიღი

ფუნქციონალური მოთხოვნები
სისტემაში ინტეგრირებული უნდა იყოს არქივის ფუნქცია, სადაც აისახება რეესტრში შეტანილი ყველა ტიპის ცვლილება
გამოქვეყნების სისტემა ყველა ინდივიდუალურ ჩანაწერს უნდა ანიჭებდეს უნიკალურ საიდენტიფიკაციო კოდს
გამოქვეყნების სისტემა უნდა აღრიცხავდეს ჩანაწერის ჩანაცვლების ყველა ინდივიდუალურ ფაქტს
გამოქვეყნების სისტემა ჩანაწერებს უნდა აგენერირებდეს JSON ფორმატში
გამოქვეყნების სისტემას უნდა ქონდეს ჩანაწერების JSON ფორმატის სქემაზე დადარების ფუნქცია
ჩანაწერები უნდა იყოს უცვლელი

მონაცემების გლობალური ბარომეტრის ფარგლებში,[19] ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით საუკეთესო შეფასება დაფიქსირდა დანიის შემთხვევაში. დანიის ცენტრალური ბიზნეს რეესტრი[20] მოიცავს ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანიების სრულყოფილ ბაზას და ინტეგრირებული აქვს მრავალფუნქციური ფილტრის მექანიზმი, რომელიც სხვა პარამეტრებთან ერთად იძლევა ბენეფიციარ მესაკუთრეების მიხედვით ძიების საშუალებას. პორტალი ასევე უზრუნველყოფს API ხელმისაწვდომობას. პორტალზე ხელმისაწვდომია დანიაში რეგისტრირებული იურიდიული პირების შესახებ შემდეგი მონაცემები:

- სარეგისტრაციო ნომერი
- მისამართი
- მუნიციპალიტეტი, ქალაქი და საფოსტო კოდი
- რეგისტრაციის თარიღი
- სამართლებრივი ფორმა
- სტატუსი
- საკონტაქტო მეილი
- საქმიანობის კოდი
- საქმიანობის მოკლე აღწერა
- დღგ-ს გადამხდელის ნომერი
- სარეგისტრაციო კაპიტალი
- პირველი საბუღალტრო პერიოდი
- მმართველობითი სტრუქტურა და ასოცირებული პირები
- ფაქტობრივ და ბენეფიციარ მესაკუთრეთა ჩამონათვალი (სახელი/გვარი/
- მისამართი/საკუთრებაში არსებული წილების ოდენობა წლების მიხედვით)
- წარსული მესაკუთრეები და ბენეფიციარი მესაკუთრეები
- ფინანსური ანგარიშები
- სარეგისტრაციო ისტორია
- დასაქმებულთა რაოდენობა თვეების მიხედვით

[19] საქართველოს გამოწვევები ღია მონაცემების მართვის კუთხით და საერთაშორისო კარგი პრაქტიკა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), მოპოვებულია 20 მაისი 2023 https://bit.ly/3P97qkV

[20] დანიის ცენტრალური ბიზნეს რეესტრი, https://virk.dk/

ცალკეულ კომპანიებზე ასევე მოცემულია სხვა უფრო დეტალური ინფორმაციაც, როგორიცაა საწარმოების მისამართები, სარეგისტრაციო ისტორია და სხვა საჯარო ფინანსური თუ საბუღალტრო დოკუმენტები.

საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ლატვიის ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრიც. 2020 წელს ლატვიის საწარმოთა რეესტრის შესახებ კანონში დაემატა აღნიშნული მონაცემების ღია ფორმატში გამოქვეყნების ვალდებულება და ამრიგად ლატვია გახდა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც დაიწყო Open Ownership-ის BOD სტანდარტის ოფიციალურად დანერგვა[21]. მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია ლატვიის ოფიციალურ ღია მონაცემების პორტალზე, დამუშავებად ფორმატში, ერთიანი გადმოწერის ფუნქციით, API მხარდაჭერით და მოიცავს შემდეგ მონაცემებს: იურიდიული პირის სარეგისტრაციო ნომერი, ბენეფიციარი მესაკუთრის სახელი/გვარი/ უნიკალური იდენტიფიკატორი, ლატვიური პირადი ნომერი (ნაწილობრივ დაფარული), დაბადების თარიღი, ეროვნება, რეზიდენციის/საცხოვრებელი ქვეყანა, რეგისტრაციის თარიღი, უკანასკნელი ცვლილების თარიღი.

[21] "Armenia and Latvia become first countries to publish data in line with the Beneficial Ownership Data Standard", Open Ownership, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://bit.ly/3J6BIkq

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა

ლუქსემბურგის სასამართლოში ლუქსემბურგული კომპანიის და მისი ბენეფიციარი მფლობელის მიერ შევიდა ორი სარჩელი ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრებზე საჯარო წვდომის შეზღუდვის მოთხოვნით. ლუქსემბურგის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რის შემდეგაც საქმე გაგრძელდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში,[22] რომელმაც არამართლზომიერად სცნო ბენეფიციარ მესაკუთრეებზე ინფორმაციის ღიად ხელმისაწვდომობა და მიზეზად ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 7-ე (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და 8-ე (პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება) მუხლებთან შეუსაბამობა დაასახელა.

სასამართლო გადაწყვეტილებით ცნობს, რომ AMLDs-ის მიზანია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა და რომ „კრიმინალების მიმართ არახელსაყრელი პირობების შექმნა და ევროკავშირის ეკონომიკური და ფინანსური გარემოს საერთო გამჭვირვალობის გაუმჯობესება შეიძლება იყოს ძლიერი პრევენციული ფაქტორი“ (პარაგრაფი 55). იგი ასევე აცხადებს, რომ ამ მიზნის მისაღწევად შეიძლება გამართლებული იყოს “თუნდაც მნიშვნელოვანი ჩარევა“ კონფიდენციალურობისა და პირად მონაცემთა დაცულობის უფლებაში (პარაგრაფი 59).

გარდა ამისა, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR, 2016)[23] კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სასამართლო აღიარებს, რომ ფართო საზოგადოებისთვის ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრზე ხელმისაწვდომობა ნამდვილად „მიზანშეწონილია“ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისთვის, ვინაიდან ამ ხელმისაწვდომობის საჯარო ხასიათი და შედეგად გაზრდილი გამჭვირვალობა ხელს უწყობს ასეთი აქტივობებისთვის არახელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას“ (პარაგრაფი 67).

მიუხედავად ამ არგუმენტებისა, სასამართლო ასკვნის, რომ შეუზღუდავი საჯარო წვდომა არ არის პროპორციული (პარაგრაფი 82) და არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას (76-ე პუნქტი) დასახული მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებაში ჩარევა არ არის გამართლებული და AMLD5-ის აღნიშნული დებულებები არამართლზომიერია.

სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის მიღებას წინ უნდა უძღვოდეს „ლეგიტიმური ინტერესის” დასაბუთება, როგორც ეს AMLD4-ში იყო გაწერილი. AMLD5-ის მიერ ამ დებულების გაუქმებას და რეესტრების სრულიად გასაჯაროებას

[22] “ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2022 წლის 22 ნოემბრის პრეს რილიზი”, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://bit.ly/3NlNEkQ

[23] “General Data Protection Regulation”, https://gdpr-info.eu/

საფუძვლად ედო ევროკომისიის არგუმენტი, რომ ლეგიტიმური ინტერესის კონცეფცია ბუნდოვანი და რთულად ინტერპრეტირებადია. თუმცა, სასამართლო აცხადებს, რომ ნორმატიული ტერმინის ინტერპრეტირების სირთულე „არ არის საკმარისი საფუძველი ევროკავშირის კანონმდებლობით ამ ინფორმაციაზე საჯარო წვდომის უზრუნველყოფის დავალდებულებისთვის“ (პარაგრაფი 72).

სასამართლო ასევე ეხმაურება მედია და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკითხს და აცხადებს, რომ „პრესას, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აქვთ ბენეფიციარ მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის **ლეგიტიმური ინტერესი**“. (პუნქტი 74). ეს მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ გახდება გამომძიებელი ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვის საფუძველი, თუმცა მოსალოდნელია, რომ პრაქტიკაში ბენეფიციარი მესაკუთრეების მონაცემებზე წვდომა პროცედურულად კიდევ უფრო გართულდება.



გამოხმაურება

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აღიარებს როგორც პრესის, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების „ლეგიტიმურ ინტერესს" ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის წვდომაში, ჟურნალისტები, ანტიკორუფციული და გამჭვირვალობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა მკაცრად გააკრიტიკეს გადაწყვეტილება, რომელიც კიდევ უფრო ზღუდავს ბიზნესის შესახებ ინფორმაციის ისედაც შეზღუდულ წვდომას. ამის შესახებ, Access Info Europe-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, ჰელენ დარბიშირმა განაცხადა: „ნამდვილად ვუბრუნდებით პერიოდს, როდესაც უკანონო ქმედებების იდენტიფიცირების ერთადერთი გზა, ერთეული მამხილებლების მიერ გავრცელებული დოკუმენტები იყო, ფინანსური დანაშაულის პრევენცია გამჭვირვალობის მეშვეობით უმჯობესია ვიდრე მისი აღმოფხვრა ფაქტის აღმოჩენის შემდეგ"[24]. Access Info Europe წარმოადგენს ერთ-ერთ მოწინავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, რომელიც ევროკავშირში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებზე მუშაობს.

ECJ-ის დასკვნა ასევე გააკრიტიკა ჟურნალისტთა ევროპული ფედერაციის (EFJ) ხელმძღვანელმა[25], მაჯა სივერმა, მისი თქმით ეს არის „უკან გადადგმული ნაბიჯი ფინანსურ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლაში". EFJ ევროპაში ჟურნალისტების ყველაზე მასშტაბური გაერთიანებაა და წარმოადგენს 320,000 ჟურნალისტს 45 ქვეყნის ფარგლებში.

მოგვიანებით, ევროპარლამენტის ეკონომიკურ და მონეტარულ საკითხთა კომიტეტმა და სამოქალაქო თავისუფლებების, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა კომიტეტმა ერთობლივად განაცხადეს[26], რომ წევრ ქვეყნებში ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის. ევროპარლამენტარებმა ასევე მოითხოვეს წევრი ქვეყნების რეესტრების ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობის ერთიანი ჩარჩოს მიღება (ლეგიტიმური ინტერესის დადასტურების შემთხვევაში წვდომის უფლება უნდა ვრცელდებოდეს ყველა წევრი ქვეყნის რეესტრზე).

---

[24] "Open Beneficial Ownership Register Rules Declared Invalid by EU's Highest Court", Access Info Europe, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://www.access-info.org/2022-11-23/open-bo-invalid-eu-court/

[25] "EU Court of Justice decision to "invalidate" transparency in beneficial ownership is a blow to the right to know" ჟურნალისტთა ევროპული ფედერაცია (EFJ), მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://europeanjournalists.org/blog/2022/11/25/eu-court-of-justice-decision-to-invalidate-transparency-in-beneficial-ownership-is-a-blow-to-the-right-to-know/

[26] "EP wants beneficial owners register reopened for journalists and civil society", The Shift News, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://bit.ly/3Nk8dxN

გარდა ამისა, 2023 წლის 28 მარტს, ევროპარლამენტის ეკონომიკისა და მონეტარულ საკითხთა კომიტეტის და სამოქალაქო თავისუფლებების, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა კომიტეტის ევროპარლამენტარებმა კენჭი უყარეს და მხარი დაუჭირეს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო ახალ საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც ამ მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერებას ემსახურება და მოიცავს სამ ძირითად ინიციატივას. კერძოდ:

- ევროკავშირის „ერთიანი სახელმძღვანელო“[27] რეგულაცია, რომელიც მოიცავს დებულებებს Due dilligence პრაქტიკის, ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობისა და ანონიმური ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ (კრიპტო-აქტივები და ახალი სუბიექტები, როგორიცაა ე.წ. crowdfunding პლატფორმები).

- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ევროკავშირის მეექვსე დირექტივა (AMLD6)[28], რომელიც შეიცავს დებულებებს ეროვნულ საზედამხედველო და ფინანსური დაზვერვის განყოფილებების შესახებ, ასევე კომპეტენტური ორგანოებისთვის საჭირო და სანდო ინფორმაციაზე წვდომის გარანტიებს, მათ შორის ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრებზე. დამატებით მოიცავს ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებით **უძრავი ქონების რეესტრების** შექმნის ახალ ვალდებულებას და ითვალისწინებს დამატებით პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებებს ბენეფიციარი საკუთრების რეესტრებზე პასუხისმგებელი ორგანოებისთვის, რათა უზრუნველყონ ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება. ახალი დირექტივა ასევე განსაზღვრავს კონკრეტულ ამოცანებს ფინანსური მონიტორინგის ეროვნული სამსახურებისთვის (FIUs) და ადგენს მათ შორის თანამშრომლობის ჩარჩოებს.

- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ ორგანოს ჩამოყალიბების ინიციატივა[29], რომელსაც ექნება საზედამხედველო და საგამოძიებო უფლებამოსილებები და იურისდიქცია ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ფარგლებში.

კიდევ ერთი საკითხი, რომლის AMLD6-ში გათვალისწინებას სამოქალაქო სექტორი აქტიურად ადვოკატირებს ლეგიტიმური ინტერესის ცნებაა, რომელსაც მეოთხე დირექტივის ფარგლებში ბევრი ხარვეზი ჰქონდა (რაც მისი შემდგომში მეხუთე დირექტივით საყოველთაო წვდომის

[27] “Prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing”, Legislative Observatory, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://oeil.secure.europarl.europa.eu/oeil/popups/ficheprocedure.do?reference=2021/0239(COD)&l=en

[28] “Anti-money laundering and countering the financing of terrorism legislative package”, The European Commission, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://bit.ly/3Nnoxhz

[29] “Anti-Money Laundering Authority (AMLA)”, Legislative Observatory, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://oeil.secure.europarl.europa.eu/oeil/popups/ficheprocedure.do?reference=2021/0239(COD)&l=en

ვალდებულების მიზეზი გახდა). უპირველეს ყოვლისა, ლეგიტიმური ინტერესის დადგენის მიზნით, ყველა წევრი ქვეყანა იყენებდა განსხვავებულ კრიტერიუმებს. სუბიექტი ერთ ქვეყანაში შეიძლება აღიარებული ყოფილიყო ლეგიტიმური ინტერესის მქონედ და მიეღო წვდომა შესაბამის რეესტრზე სხვებში კი არა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და დარგის ექსპერტები ღია წერილით მოითხოვენ[30] AMLD6-ში კონკრეტული და ერთგვაროვანი ზომების გათვალისწინებას და ამგვარი დისკრეციის ბოროტად გამოყენების პრევენციის გარანტიებს. ღია წერილში ყურადღება ასევე გამახვილებულია რეესტრების მომხმარებლების კონფიდენციალურობის დაცვაზე. ვინაიდან ევროკავშირში ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრები სავარაუდოდ დაუბრუნდება მომხმარებლის რეგისტრაციის რეჟიმს, AMLD6-მა უნდა უზრუნველყოს, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოხდეს მონაცემების გაზიარება კომპანიებთან ან მათ ბენეფიციარ მფლობელებთან ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის შესახებ. ეს აუცილებელია ერთი მხრივ საეჭვო კომპანიებისთვის რეაგირების საშუალების აღსაკვეთად, ხოლო მეორე მხრივ გამომძიებელ ჟურნალისტებზე ზეწოლის პრევენციისთვის.

[30] "EUROPEAN COMMISSION MUST UPHOLD CORPORATE TRANSPARENCY IN THE 6TH ANTI-MONEY LAUNDERING DIRECTIVE", Open letter to Mairead McGuinness, European Commissioner for Financial Services, Financial Stability and Capital Markets Union, Transparency International, მოპოვებულია 20 მაისი 2023 https://www.transparency.org/en/press/open-letter-european-commission-beneficial-ownership-transparency-6th-amld

სასამართლო გადაწყვეტილების შედეგები ევროპის ქვეყნებში

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებამ უკვე გამოიწვია რეესტრების დაუყოვნებელი დახურვა გერმანიაში, ავსტრიაში, მალტაში, ირლანდიაში ლუქსემბურგში, ნიდერლანდებსა და ევროკავშირის სხვა რამდენიმე სახელმწიფოში.



ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დასკვნის შემდეგ[31] ირლანდიის ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრზე ხელმისაწვდომობაზე უცვლელი რჩება კონკრეტული დაინტერესებული მხარეებისთვის, კერძოდ ირლანდიის კრიმინალური მართლმსაჯულების აქტის მეოთხე მუხლში მოცემული პირებისთვის[32] და უფლებამოსილი უწყებებისთვის[33]. თუმცა, იანვრიდან რეესტრზე წვდომა შეიზღუდა რიგითი მოქალაქეებისთვის და რეესტრის ვებგვერდზე გამოჩნდა შემდეგი ჩანაწერი და წვდომის მოთხოვნის განცხადების ბმული.

[31] "Why Are Eu Public Registers Going Offline, And What's Next For Corporate Transparency?", Transparency International, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://www.transparency.org/en/blog/cjeu-ruling-eu-public-beneficial-ownership-registers-what-next-for-corporate-transparency

[32] "Criminal Justice (Money Laundering and Terrorist Financing) Act 2010", Article 4, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://www.amlcompliance.ie/wp-content/uploads/2022/07/Act-2022-July.pdf

[33] უწყებები, რომლებიც ჩართულნი არიან ფულის გათეთრების ან ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების ფაქტების გამოვლენის, პრევენციის, ან გამოძიების საკითხებში ფინანსური დაზვერვის განყოფილებები, შემოსავლების კომისრები, კრიმინალური აქტივების ბიურო, ირლანდიის ცენტრალური ბანკი იუსტიციისა და თანასწორობის დეპარტამენტი და ა.შ.

ირლანდიის ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი[34]

ანალოგიური ტექსტები გამოქვეყნდა ავსტრიის[35], გერმანიის[36] ნიდერლანდების[37] რეესტრების ვებგვერდებზე, თუმცა ჯერ კიდევ საჯაროდ ხელმისაწვდომია ლატვიის[38], ლიეტუვის[39], ესტონეთის[40], და დანიის[41] რეესტრები და ამ ეტაპზე უცნობია როგორ აპირებენ აღნიშნული სახელმწიფოები პრაქტიკისა და კანონმდებლობის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანას.

გამორჩეულ შემთხვევას წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს მაგალითი, ვინაიდან ის აღარ არის ევროკავშირის წევრი. შესაბამისად, ECJ-ის გადაწყვეტილება სავალდებულო ხასიათს არ

[34] Central Register of Beneficial Ownership of Companies and Industrial and Provident Societies (RBO), https://rbo.gov.ie/

[35] "Information on the implications of the judgment of the Court of Justice of the European Union in joined cases C-37/20 and C-601/20 of November 22, 2022", Austria's Register of beneficial owners, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://www.bmf.gv.at/services/wiereg/oeffentliche-einsicht.html

[36] T ransparency Register of the Federal Republic of Germany for data on beneficial owners, Notice, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://bit.ly/45Xx0z2

[37] Register of Beneficial Owners of The Kingdom of Netherlands, Notice, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://www.kvk.nl/producten-bestellen/bedrijfsproducten-bestellen/uittreksel-ubo-register/

[38] Latvia's Public Register of Beneficial Owners, https://info.ur.gov.lv/#/data-search

[39] Lithuania's State Enterprise Centre of Registers, https://www.registrucentras.lt/en/

[40] Estonia's E-Business Register, https://ariregister.rik.ee/eng

[41] The Kingdom of Denmark's Central Business Register, https://datacvr.virk.dk/

ატარებს. ამასთან, გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის (EUCFR) მე-7 და მე-8 მუხლებს, რომელიც ასევე აღარ ვრცელდება გაერთიანებულ სამეფოზე. თუმცა, ეს უფლებები ასევე დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, რომლის წევრიც გაერთიანებული სამეფოცაა. ამრიგად, ECJ-ის გადაწყვეტილება შესაძლოა გამოყენებულ იქნას ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის საჯაროობის მოწინააღმდეგე სუბიექტების მიერ არგუმენტად, რომ გაერთიანებულ სამეფოში რეესტრის ღიაობა ეწინააღმდეგება კონვენციით დაცულ კონფიდენციალურობის უფლებებს[42].

ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი დიდ ბრიტანეთში საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა 2016 წლიდან. 2016 წლის აპრილიდან კომპანიები ვალდებულნი არიან, საკუთრების ან აქტივების მართვის 25%-იანი წილის ფლობის შემთხვევაში, ბენეფიციარი მესაკუთრეობის შესახებ ინფორ-მაცია შეიტანონ კომპანიების რეესტრში.

რეესტრის მეშვეობით დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გაეცნონ კომპანიის შესახებ ზოგად ინფორმაციას, წარდგენილი დოკუმენტაციის ისტორიას, ინფორმაციას მენეჯერების ან/ და მნიშვნელოვანი კონტროლის მქონე პირების შესახებ, ასევე ბრალდებების / სანქციების, გადახდისუუნარობის ამსახველ ინფორმაციას.

რთულად პროგნოზირებადია, როგორ იქნება მიღებული ECJ-ის გადაწყვეტილება ქვეყნებში, რომ-ლებიც არ არიან ევროპის ეკონომიკურ ზონაში და რომლებიც, შესაბამისად, არ ექვემდებარებიან ECJ-ის იურისდიქციას. თუმცა, მნიშვნელოვანია ცალკეულმა ქვეყანამ იმოქმედოს ადგილობრივი კონტექსტისა და მის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ.

[42] "Crown Dependencies reconsider public registers of beneficial ownership in light of CJEU privacy ruling", STEP, მოპოვებულია 20 მაისი 2023, https://bit.ly/43x5HtK

დასკვნა

დღეის მდგომარეობით, საქართველოს კვლავ შეუსრულებელი აქვს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით აღებული საერთაშორისო ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის შედის ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის თვალსაზრისით მისაღები ზომები. ამის პარალელურად, საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება ბოლო წლებში რუსეთის მოქალაქეების მიერ დარეგისტრირებული იურიდიული პირების ზრდის ფონზე, რაც მოითხოვს მკვეთრ რეაგირებას მათი დაფინანსების წყაროებისა და აქტივობების მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

საქართველის არსებული საკანონმდებლო ჩარჩო არ არის საკმარისი აქტუალურ გამოწვევებზე საპასუხოდ. მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ერთიანი რეესტრის შექმნა, მათ შორის მონაცემების ღია ფორმატში შეგროვება, დამუშავება, და შენახვა, რათა სამომავლო პერსპექტივაში რეესტრი იყოს ურთიერთთავსებადი და იძლეოდეს მონაცემების მიმოცვლის შესაძლებლობას სხვა ქვეყნების ანალოგიურ რეესტრებთან.

ECJ-ის გადაწყვეტილება უთუოდ იქონიებს მასშტაბურ გავლენას ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის მიმართულებით მიმდინარე გლობალურ პროცესებზე. მოსალოდნელია, რომ გარკვეული გავლენა ირიბად გავრცელდეს ევროპის გარეთ, ისეთ ქვეყნებზე, რომლებიც არ ექვემდებარებიან ECJ-ის იურისდიქციას და ამჟამად მუშაობენ ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით კანონმდებლობის გარდაქმნაზე და შემუშავებაზე.

მიუხედავად იმისა რომ, ECJ-ის გადაწყვეტილება არამართლზომიერად მიიჩნევს რეესტრების საჯაროობას, იგი არ უნდა გახდეს მედიისთვის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთ-ვის ინფორმაციის მიწოდების შეზღუდვის საფუძველი, ვინაიდან თავად სასამართლო აღიარებს და აღნიშნავს ამ სუბიექტების „ლეგიტიმურ ინტერესს" და ამასთანავე, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები აქტიურად მუშაობენ ლეგიტიმური ინტერესის მქონე პირებისთვის მონაცემთა ბაზებზე თავისუფალი წვდომის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ჩარჩოების შემუშავებაზე.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო

+ 995 32 292 15 14

INFO@IDFI.GE

WWW.IDFI.GE